MES 0 21 0000706603

14/07/2021

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 30 ივნისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting:
https://us02web.zoom.us/j/87671563929?pwd=eERqK2tmTUV2amZNU1pLMHd2cVZYUT09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში- საბჭო) წევრები:**

**შორენა ჯაფარიძე -** პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ნინო ველთაური -** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;
**მარიამ ჩაგელიშვილი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
**ნინო კაკულია -** სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ლონდა მინდიაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:**
გიორგი სოსიაშვილი - რექტორი;
ლევან მიდოდაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
დავით ჩოჩიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;
დავით კვერნაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
ნინო მაზმიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;
იოსებ ბაინდურაშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის იურისტი.

**სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“:**
ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:**
ნანა შარაბიძე
მანანა მოისწრაფიშვილი
ქეთევან ღვანიძე
გიული გურგენიძე
იაზონ დანელია
ირმა ანთია
გიორგი ბერია
ტიტე ბოლქვაძე
ინგა ბაქრაძე
მაკო ჯაოშვილი
ნია გუგუნავა

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 16:04 საათი.

ქალბატონი ნანი დალაქიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განმარტა, რომ სხდომას ვერ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანა ყუფუნია, საბჭოს წევრების უმრავლესობამ სხდომის თავმჯდომარედ მხარი დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და

აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობა დაავალა ნინო კაკულიას, რაზეც მიიღო მისს თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

**1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, ცენტრს ხომ არ ჰქონდა შუამდგომლობა. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობა, რომელიც არის დამატებითი და არ ეხება საბჭოზე წარმოდგენილ ძირითად საკითხს. მან განმარტა, რომ შუამდგომლობა ეხება კოლეჯ „სპექტრის" ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში ჩანიშნულ მონიტორინგს, რომელიც 21 მაისის საბჭოს სხდომაზე ჩაინიშნა საბჭოს მიერ აღნიშნულ საკითხზე დამატებით იყო მსჯელობა 2 ივნისის სხდომაზე. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოსგან ითხოვა ნებართვა, შუამდგომლობის დაყენებაზე. საბჭომ გამოთქვა თანხმობა აღნიშნულზე. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ 21 მაისის სხდომაზე კოლეჯ „სპექტრის" მხრიდან წარმოდგენილი იყო საკითხი 2 პროგრამის დამატებაზე. მან აღნიშნა, რომ დასკვნიდან და ზეპირი მოსმენის გარემოებიდან გამომდინარე, საბჭომ იმსჯელა და ჩანიშნა მონიტორინგი „სპექტრისთვის" „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროგრამაზე", მონიტორინგის ფარგლებად განისაზღვრა 5.1 კომპონენტი, რის საფუძველიც იყო სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოუდგენლობა კოლეჯის მხრიდან, რაც ფიქსირდებოდა ექსპერტთა დასკვნაში. ხოლო მონიტორინგის მეორე კომპონენტი იყო 2.2. კომპონენტი, რისი საფუძველიც იყო „სანტექნიკური სამუშაოების ექსპლუატაციის" პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის მოდულთან დაკავშირებული გარემოებები, რამაც მსჯელობა გამოიწვია და ამ საკითხის შესასწავლად ცენტრს დაევალა მონიტორინგის განხორციელება 30 ივნისიდან. 2 ივნისის საბჭოზე ამ საკითხებთან დაკავშირებით კიდევ იყო მსჯელობა, ცენტრმა წარმოადგინა კოლეჯის შუამდგომლობა, რომელიც ითხოვდა მონიტორინგის გაუქმებას ორივე კომპონენტის ფარგლებში, მათ წარმოადგინეს არგუმენტები. ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ დაწესებულებას ჰქონდა ეს მიწერილობა, რასაც ავტორიზაციის სტანდარტი ითხოვს. საგანგებო სიტუაციების სამსახურთან საკითხი დასმული იყო და სამსახურის მიერ შედგენილი მიწერილობის დოკუმენტი წარმოდგენილი იყო კოლეჯის მხრიდან ცენტრში, რომელიც ასევე საბჭოს გაეგზავნა. რაც შეეხება 2.2 კომპონენტს, კოლეჯის მხრიდან ინიცირებაც იყო დაყენებული ჩარჩო დოკუმენტში საწარმოო პრაქტიკის მოდულის ცვლილებასთან დაკავშირებით. თუმცა საბჭომ ჩათვალა, რომ მონიტორინგი ძალაში დარჩენილიყო. სამსახურმა დამატებით შეისწავლა ეს საკითხი, იმსჯელა და მათ კიდევ ერთხელ დააყენეს საკითხი საბჭოს წინაშე მონიტორინგის გაუქმების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საბჭომ შეისწავლა დოკუმენტები, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოებასთან

დაკავშირებით. ეს დოკუმენტი არ ადასტურებსდასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, არამედ წარმოადგენს მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. ამ დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებამ ხარვეზები უნდა გამოასწოროს და ხარვეზების გამოსწორების ვადად მითითებულია 2020 წლის აგვისტო. მან აღნიშნა, რომ მისი აზრით საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება მონიტორინგის ჩანიშვნის შესახებ, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს განახლებული დასკვნა, სადაც ასახული იქნება სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით გამოსწორებული ხარვეზები, რომელთა გამოსწორების ვადად, შესაბამისი ორგანოს მიერ, კოლეჯს განსაზღვრული ჰქონდა ვადა, არაუგვიანეს 2020 წლის აგვისტოს თვისა. შესაბამისად, აზრი არ აქვს მონიტორინგის ჩახსნაზე საუბარს. გარდა ამისა, მეორე კომპონენტის შემთხვევაშიც, საბჭოს აქვს მყარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას უნდა გამოესწორებილა „საწარმო პრაქტიკის“ მოდულის დამხმარე ჩანაწერებში ტექნიკური შეუსაბამობა, ვინაიდან მოდულის ეს ნაწილი, განსხვავებით დანარჩენი ნაწილებისგან, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, ამიტომ დაწესებულებას სტული უფლება ჰქონდა ეს გამოესწორებინა ცენტრის ჩარევის გარეშე, ამიტომ მან სთხოვა ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, დაეზუსტებინა თუ რას ეხება მათი შუამდგომლობა.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ საბჭოს მიმართავენ შუამდგომლობით, რათა დაკორექტირდეს მონიტორინგის ვადა, რომელიც განსაზღვრული იყო 30 ივნისიდან. არგუმენტი არის ის, რომ 30 ივნისიდან ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებაც კი არ არის შესული ძალაში და აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 15 სექტემბრიდან, ეს არის ერთი არგუმენტი, რის გამოც ითხოვენ მონიტორინგის ვადის გახანგრძლივებას. მან ასევე აღნიშნა, რომ მათი სურვილია საბჭომ მისცეს საშუალება დაწესებულებას წარმოადგინოს დასკვნა, რომელზეც ქალბატონმა შორენამ ისაუბრა, არამარტო მიწერილობა, არამედ მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების თაობაზე დასკვნა, რისთვისაც მინიმუმ 3 თვე მაინც სჭირდება დაწესებულებას, ამდენად თხოვნაა, რომ გონივრულ ვადაში განისაზღვროს მონიტორინგი, საშუალოდ 30 ოქტომბრიდან თუკი დაწესებულების წარმომადგენელიც დაეთანხმება. ასევე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თხოვნაა, შეიცვალოს მონიტორინგის ფარგლები. მან განმარტა, რომ საბჭოს მონიტორინგის ფარგლებად განსაზღვრული ჰქონდა 2.2. კომპონენტი და 5.1. კომპონენტი, მაგრამ რადგანაც ის დოკუმენტები, რომლებიც საბჭომ 2 ივნისის სხდომაზე დაასახელა და რაც დღეს დასახლდა (განახლებული პროგრამის პაკეტი და სასწავლო გეგმა, ასევე საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც პროგრამიდან გამომდინარე შეიცვლება; დასკვნა, რომელშიც ასახული იქნება მიწერილობის საფუძველზე განსახორციელებელი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე დასკვნა), სხვადასხვა კომპონენტებს და სხვადასხვა ინდიკატორებს შეესაბამება და სამსახური ითხოვს საბჭს ნებართვას, რომ მონიტორინგის ფარგლებში განისაზღვროს ამ დოკუმენტების შემოწმება, დაწესებულებიდან გამოთხოვით და ეს ყველაფერი განისაზღვროს დირექტორის ბრძანებით, რომლითაც ჩაინიშნება მონიტორინგი კონკრეტულად იმ ვადაში, რომელზეც დააყენეს შუამდგომლობა, 30 ოქტომბრიდან დებულებით დადგენილი პროცედურით და თანამიმდევრულობით.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს აქვს ასეთი პრაქტიკა, როდესაც ხდება მონიტორინგის ვადის გადაწევა, მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს მოვალეობაა არა ერთგვარი დამსჯელი ღონისძიებების ჩატარება, არამედ ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა, ამ შემთხვევაში საბჭო ხედავს, რომ დაწესებულებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, თუნდაც ის, რომ მიმართა ხარისხის ცენტრს პროფესიულ საგანმანათლებლო

სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ კიდევ უფრო ქმედით ღონისძიებებს განახორციელებს დაწესებულება, რათა ხარისხის უზრუნველყოფა მუდმივად ხდებოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა შესაძლებლობა, დაეზუსტებინა ერთი საკითხი, კონკრეტულად კი, მონიტორინგის საკითხი ეხება თუ არა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის დოკუმენტალურად წარმოდგენას და ცვლილებების განხორციელების ნაწილს. აღნიშნული დაადასტურა ცენტრის წარმომადგენელმა და განმარტა, რომ მონიტორინგი ითვალისწინებს დაწესებულების მიერ, საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ შედგენილ მიწერილობაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ამჟამინდელ მდგომარეობას და აღნიშნულის თაობაზე დასკვნის წარმოდგენასა და ასევე ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შედეგად დაწესებულების მიერ „სანტექნიკური სამუშაოების ექსპლუატაციის“ შეცვლილი პროგრამის პაკეტის წარმოდგენას (პაკეტი უნდა მოიცავდეს სასწავლო გეგმას, ასევე საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლის ხელშეკრულებაში ცვლილებას). სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელებს, ჰქონდათ თუ არ რაიმე კონკრეტული ვადა განსაზღვრული, რაზეც მან განუმარტა, რომ დაწესებულებას სურვილი ჰქონდამიმდინარე წელს მიეღო სტუდენტები, რაზეც საბჭომ განუმარტა, რომ დაწესებულებას სტუდენტების მიღებაში ხელი არ ეშლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სურვილი აქვს მონიტორინგი განხორციელდეს ნოებერის თვეში, რასაც დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე, მან მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მონიტორინგი გადავადდეს და თარიღად განისაზღვროს პერიოდი 15 ნოემბერიდან, მონიტორინგი განისაზღვროს დოკუმენტაციის გამოთხოვით და შესწავლით და მონიტორინგის ანგარიშით, რომელიც თხრობითი სახით იქნება წარმოდგენილი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ სსიპ კოლეჯ „სპეტრისათვის“ მონიტორინგის ვადის გადაწევას და მონიტორინგის ჩანიშვნას 2021 წლის 15 ნოემბრიდან, დოკუმენტაციის (დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით) გამოთხოვით და ექსპერტთა შესაბამისი დასკვნის წარდგენით საბჭოს სხდომაზე.

საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვით.

**1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე საკითხი წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნანა შარაბიძემ, მან განმარტა, რომ საკითხი ეხება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა 12 წევრისგან, რომელთაგან ქალბატონი ნია გუგუნავა გახლდათ უმაღლესი საგანმანთლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, დანარჩენები დარგის ექსპერტები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს განუმარტა, რომ უნივერსიტეტს საავტორიზაციო განაცხადში შტანილი ჰქონდა 12 პროგრამა, რომლიდანაც 8 არის სრული შესაბამისობით და არანაირი რეკომენდაციით, საბჭოს შეუძლია დარგის ექსპერტებს შეკითხვები დაუსვან, თუმცა აღნიშნულ 8 პროგრამასთან მიმართებაში, რაიმე განსხვავება არ ფიქსირდება. 3 პროგრამა არის სრული შესაბამისობით და რეკომენდაციებით. რეკომენდაციებს წარმოადგენს თავად, ხოლო საბჭოს წევრებს საშუალება ექნებათ შემდეგ ან პარალელურ რეჟიმში დარგის ექსპერტებს დაუსვან შეკითხვები, ხოლო დარჩენილი 1 პროგრამა არის მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტთა ჯგუფის დისტანციური ვიზიტი განხორციელდა 3 დღის განმავლობაში, 27, 28 და 29 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფმა 27 აპრილს განიხილა უშუალოდ ინსტიტუციური ი,ხოლო 2 დღე დაუთმეს საგანმანთლებლო პროგრამებს. ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით არ ირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული პროგრამებისათვის გამოყოფილ შენობებში, უნივერსიტეტის მეოთხე და მეხუთე კორპუსში, არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულების პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლები ისევე სარგებლობენ დაწესებულების მიერ შემოთავაზებული სერვისებით, როგორც აკადემიური განათლების სტუდენტები და მასწავლებლები, თუმცა ამის მიუხედავად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მარეგულირებელი აქტებსა და სერვისების ნაწილში, აკადემიური განათლების სტუდენტებთან ერთად მოხსენიებულ იქნას პროფესიული სტუდენტები.

ვიზიტის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი. მან განმარტა, რომ პირველი სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებაში, რომელიც ეხება კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ განვითარებას, ხარვეზი არ დაფიქსირებულა. აღნიშნული ეხება, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ისე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებას - შენიშვნა არ დაფიქსირებულა, როგორც დაგეგმვის პრაქტიკის, ასევე სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემასთან მიმართებით. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, სამოქმედო გეგმები და სტრატეგიული გეგმა განთავსებულია ვებგვერდზე, მაგრამ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, რომლების თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მათ აღნიშნული ეგზავნებათ ფოსტაზე, დაინტერესებული მხარეებისთვის და არა მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლებისთვის, ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის რეკომენდირებულია, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განთავსებული იყოს დაწესებულების ვებგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შემდეგ ისაუბრა მესამე სტანდარტთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებისთვის თანაბრად პრიორიტეტული იყო სამივე საფეხურის სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. მან განმარტა, თუ რას ემსახურება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია - დაწესებულებას ვებგვერდზე ცალკე აქვს გამოყოფილი პროფესიული განათლების რუბრიკა, მაგრამ ამავე დროს სტუდენტების რუბრიკაში განთავსებული აქვს მხოლოდ მაგისტრების და ბაკალავრების ხელშეკრულების ფორმები. არც პროფესიული

განათლების ნაწილში და არც სტუდენტების ნაწილში, არ არის პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფორმა, რომელიც დაწესებულებას აქვს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სწორედ ეს იყო მათი რეკომენდაციის საფუძველი, რომ პროფესიული სტუდენტის ინტერესები რომ დაცული იქნას, ამისათვის სამივე საფეხურის სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა განთავსდეს ან ერთიანად სტუდენტის რუბრიკაში ან ზოგადად, პროფესიული განათლების რუბრიკაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის ფარგლებში გაცემული მეორე რეკომენდაცია ეხება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტისათვის გონივრულ ვადაში ადმინისტარციული მხარდაჭერის გაწევას. რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია ვებგვერდზე განთავსებულ რუბრიკის სტუდენტთა მხარდაჭერის დოკუმენტებში ჩანდეს პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები ან ცალკე შეიმუშაონ პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი დაცვის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მან განმარტა, რომ ეს დოკუმენტები გაწერილია, მაგრამ აღნიშნული არ არის თვალსაჩინო, იმ თვალსაზრისით რომ პროფესიული განათლების განყოფილება არის ვებგვერდზე, თუმცა აქ ატვირთული დოკუმენტები საკმაოდ მწირი იყო და სასურველია უფრო მეტად გამოჩდეს პროფესიულ სტუდენტებზე ზრუნვა. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დაწესებულება იყენებს ორივე ტერმინს - აკადემიურ სტუდენტს და პროფესიულ სტუდენტს თავიანთ განმარტებებში და სწორედ ამიტომ პროფესიული სტუდენტისთვის ან გამოყონ ცალკე დოკუმენტები ან მოცემულ დოკუმენტებში გამოაჩინონ პროფესიული სტუდენტებიც.

მესამე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გადავიდა მეოთხე სტანდარტზე. მან განმარტა, რომ პერსონალის და პროცესების მართვასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს შესაბამისი რეგულაციები, მით უფრო რომ დაწესებულებამ ახლახან გაიარა ავტორიზაცია უმაღლესის მიმართულებით, ხოლო რაც შეეხება პერსონალს, მან განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს დამოუკიდებლად პროფესიული ცენტრის პერსონალი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია შესაბამისად და ცენტრი ფუნქციონირებს მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ამიტომაც ამ სტანდარტთან მიმართებაში, ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მეხუთე სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტთან შეუსაბამობა მეხუთე კომპონენტთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები, რომლის მიხედვითაც ისინი მოქმედებენ, თუმცა არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომლის ყოლაც აუცილებელია, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული დაწესებულებისთვის. მან აღნიშნა, რომ სწორედ ამის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწესებულებაში უსაფრთხოების მექანიზმები სრულყოფილად ვერ მოქმედებს, ვინაიდან მხოლოდ წესი იყო გაწერილი და არ ჰყავდათ თანამშრომელი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის N1-42 (18.06.2021) ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა“, რომლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 2 სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებას (ვადა 21 ივნისიდან 23 ივლისამდე). მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტი და სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება „არ შეესაბამება“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“. მან აღნიშნა, გაუმჯობესების გეგმის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელის მიხედვითაც

დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადაში (2 თვე) უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 2 სპეციალისტის შერჩევა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა შესაბამისობის ცხრილი, რომელის მიხედვითაც მისია და სტრატეგიული გეგმა სრული შესაბამისობით შეფასდა, პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები სრული შესაბამისობით შეფასდა, ადამიანური რესურსები სრული შესაბამისობით შეფასდა, ხოლო მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - აღნიშნულ ნაწილში 5.1. კომპონენტი (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხოლო საინფორმაციო და ფინანსური რესურსები სრული შესაბამისობით. შესაბამისად, მოცემულ ოთხივე სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია, ვინაიდან 5.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობას ითვალისწინებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების პროგრამაზე მოთხოვნილი აქვს 20 პროფესიული სტუდენტი, აღმზრდელის პროგრამაზე 50, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე 20, საოფისე საქმის პროგრამაზე 20, საფინანსო სერვისების პროგრამაზე 40, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამაზე 30, რძის პროდუქტების წარმოების პროგრამაზე 10, საბიბლიოთეკო საქმის პროგრამაზე 30, საექთნო განათლების პროგრამაზე 75, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროგრამაზე 10, ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაზე 50, ხოლო ღონისძიების ორგანიზების პროგრამაზე 10 პროფესიული სტუდენტის ზღვრული ოდენობა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროგრამები, მათი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობები და ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნა, აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება, აღმზრდელი, ბუღალტრული აღრიცხვა, საოფისე საქმე, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, რძის პროდუქტების წარმოება, საბიბლიოთეკო საქმე და ღონისძიებების ორგანიზება, სრული შესაბამისობით, რეკომენდაციების გარეშეა წარმოდგენილი. სრული შესაბამისობით არის წარმოდგენილი ასევე საექთნო განათლების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სასურველია, განსაკუთრებით კლინიკური მიმართულების მოდულებში, აღნიშნულ მოდულებს ასწავლიდეს კონკრეტული მიმართულების სპეციალობისა და პრაქტიკული უნარების მქონე საექთნო პერსონალი, რომლის დატვირთვა მათი მიმდინარე კლინიკური საქმიანობის პარალელურად ადეკვატური იქნება, რაც გაზრდის აღნიშნულ მიმართულებაში სწავლების ხარისხის. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასევე სრული შესაბამისობით იყო წარმოდგენილი სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და აქაც გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სასურველია, დაწესებულებამ პერიოდულად მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-გადახედვა საგანმანათლებლო რესურსების კუთხით, რათა გამორიცხოს ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში. მან ასევე განმარტა, რომ სრული შესაბამისობითა და განმავითარებელი რეკომენდაციებით წარმოდგენილია ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში გაიცა ოთხი განმავითარებელი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის მიხედვით სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის, დაწესებულებამ უზრუნველყოს დამატებით ერთი A გარემოს გამოყოფა, რათა არ მოხდეს პირველი და მეორე წლის ნაკადის სტუდენტების სწავლებისას A/C გარემოს გადაფარვა. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სასწავლო რესურსებში აისახოს ახალი ელექტრონული სასწავლო რესურსები,

რასაც პროფესიული მასწავლებლები იყენებენ დისტანციური სწავლების დროს. მესამე რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია სასწავლო გეგმაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა მოდულის „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“ წინაპირობებთან მიმართებაში. ხოლო მეოთხე რეკომენდაციის მიხედვით, სასურველია, მოდული „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ ისწავლებოდეს პირველივე ეტაპზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამებიდან საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილი შესაბამისობით და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ მიუხედად იმისა, რომ პროგრამა წარმოდგენილია მეტწილი შესაბამისობით, ამ პროგრამასთან მიმართებით დასკვნის პროექტში ასევე იყო ხარვეზი, რადგან ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების სასწავლო საწარმოს პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მან განმარტა, რომ საფინანსო სერვისების საწარმოო პრაქტიკა ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას საწარმოო პრაქტიკის გასავლელად. სწორედ ამ პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „მონტესთან“, შპს „ქება 2010“-თან და შპს „სმიალთან“) გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული იყო საწარმოო პრაქტიკის მხოლოდ ერთი სწავლის შედეგი, ხოლო ერთი სწავლის შედეგთან მიმართებაში გაურკვეველი იყო, თუ სად შეიძლებოდა მისი გავლა. სწორედ ამიტომ დასკვნაში აღნიშნული ჩაიწერა როგორც ხარვეზი. თუმცა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რომლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს სავაჭრო ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმებას (განახლება) ერთი თვის ვადაში (21 ივლისი, 2021 წ.). აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადაში (1 თვე) უზრუნველყოს სავაჭრო ობიექტებთან (შპს „მონტე“, შპს „ქება 2010“, შპს „სმიალი“) ხელშეკრულებების გაფორმება (განახლება).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხებზე.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და სხვა დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია განვითარებაზე. რადგან პროფესიული განათლება ჯერ კიდევ ერთგვარ სიახლედ ითვლება ქვეყანაში, სტუდენტთა ნაკადები გასულ წლებში ძალიან მცირე იყო, რეგიონებში მუდმივად შეინიშნება სტუდენტთა რაოდენობის ზრდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აკადემიურ ნაწილში უკვე გავლილი აქვს ავტორიზაცია, ამასთან ეს ორი პროცესი დაემთხვა ერთმანეთს, რის გამოც დაწესებულებას ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუწია მუშაობა. მან განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმები განთავსებასთან დაკავშირებული საკითხი ტექნიკური ხასიათისაა, რაზეც უკვე იმსჯელა დაწესებულებამ და შესაბამისი რეკომენდაცია გათვალისწინებულია. მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტი არაფრით განირჩევა აკადემიური სტუდენტისაგან და ისინი თანაბარი სიკეთით სარგებლობენ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ დოკუმენტში ტერმინი პროფესიული სტუდენტის გამორჩენის საკითხი უკვე გათვალისწინებულია და ასახულია შესაბამის დოკუმენტებსა და რეგულაციებში. მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებამ უკვე გამოაცხადა კონკურსი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე. მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურის დამკვიდრებას და შესაბამისი რეგულაციების შემოღებას დაემთხვა პანდემიის პერიოდი, რამაც დაწესებულებას გარკვეულწილად ხელი შეუშალა, თუმცა პროფესიული განათლების ხარისხის ექსპერტებისგან შენიშვნის მიღების შემდეგ

დაწესებულებამ მყისიერად გამოაცხადა კონკურსი, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოს დასაწყისში დასრულდება და დაწესებულებას ეყოლება შრომის უსაფრთხოებაზე 2 პასუხისმგებელი პირი პროფესიული მიმართულებით, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციაც მიღებულ და გათვალისწინებულია. საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბიზნეს სექტორთან და საფინანსო სერვისების პროგრამასთან მიმართებაში არსებული ხარვეზი უკვე გამოსწორებულია. მან აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის დროს აღნიშნული საკითხი გაწერეს 1 თვეზე, თუმცა ხელშეკრულებები განახლებულია და გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები და სამივე ხელშეკრულება დაწესებულებას უკვე განახლებული სახით აქვს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ პრაქტიკულად უკვე გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული თითქმის ყველა რეკომენდაცია. აღნიშნულ საკითხებზე სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მხედველობაში არ მიიღება. მან ასევე მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ სტანდარტებთან მიმართებაში.

სხდომის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებაში, რამდენადაც დაწესებულება ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტია, რომელმაც დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ს თუ რა განვითარების გეგმები აქვთ მომავალში. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პირველი დღეს სწორედ ამ ოთხ სტანდარტს დაუთმო, შესაბამისად რექტორთან და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან ჰქონდათ საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვიუ, რომლის დროსაც გაირკვა, რომ უნივერსიტეტი მართლაც გამორჩეულ ყურადღებას უთმობს პროფესიულ განათლებას, დაგეგმილი აქვთ ახალი ინიციატივები, რომელთაგან ერთ-ერთი გულისხმობდა სტუდენტური კონფერენციის მომზადებას, რომელშიც თანაბრად იქნება წარმოდგენილი როგორც პროფესიული, ისე აკადემიური სტუდენტები, ასევე ჰქონდათ ძალიან კარგი ინიციატივები ღია კარის დღეების მოწყობასთან დაკავშირებით, ამასთან დაწესებულებას სამომავლოდ გეგმები აქვს პროფესიულ განათლებასთან მიმართებით, რომელიც გულისხმობს შიდა ქართლის რეგიონში სკოლებთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან თანამშრომლობას. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია რეგიონში.მან აღნიშნა, რომ ეს რეგიონი მოიცავს კასპის, ხაშურის, ქარელის, გორის და ნაწილობრივ მცხეთის მუნიციპალიტეტებს, აქედან გამომდინარე დაწესებულების მთავარი საზრუნავი არა არსებულ პროგრამებზე გაჩერება, არამედ ახალი პროგრამების დანერგვაა, რომელიც რეგიონს სჭირდება. აღნიშნული ხდება გუბერნიასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სკოლებთან ძალიან მჭიდრო კავშირში. დაწესებულება გეგმავს თითოეულ საკრებულოში გააკეთოს პროფესიული განათლების საინფორმაციო ცენტრები, რაც ნიშნავს მოსახლეობისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას, თუ რა სახის პროფესიული განათლების მიღება და რა სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ ახალგაზრდებს სახელმწიფოსაგან, განვითარდება ისეთი დარგები და მიმართულებები, როგორიცაა აგრარული მიმართულება, მეღვინეობა და ამ მიმართულებით თანამშრომლობენ კომპანიასთან, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაში იტალიის საელჩოსთან. უნივერსიტეტში გახსნილია იტალიური ენისა და კულტურის ცენტრი და მიღებული აქვთ შემოთავაზება იტალიის პროფესიულ სასწავლებლებთან პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე დაწყებულია აქტიური მოლაპარაკებები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე ვეტერინარია, ასევე თევზის მეურნეობა განვითარებულია რეგიონში და სჭირდებათ შესაბამისი მიმართულებების განვითარება მეწარმეებს, მან განმარტა, რომ მათი მთავარი მიზანი და მისია რეგიონიდან ახალგაზრდების გადინების შემცირებაა. მან აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ყველა ნაკადზე

იზრდება პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. გარდა ამისა, ფაქტი რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული 5 კორპუსიდან 2 მთლიანად პროფესიული მიმართულებებისთვისაა დათმობილი, კიდევ ერთხელ მოწმობს პროფესიული განათლების მინიშვნელობაზე დაწესებულების ხედვასა და სტრატეგიაში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ვინაიდან დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად აკადემიური პროგრამებიც, ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დაწესებულების განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანია, არის პროფესიული და აკადემიური პროგრამების თავსებადობის მაქსიმალურად ზრდა, რის საშუალებასაც ამ მიმართულებით არსებული ჩიხები აბრკოლებდა. აღნიშნული ჩიხების აღმოფხვრა გაზრდის, როგორც პროფესიული, ისე აკადემიური პროგრამების მიმზიდველობასაც. შესაბამისად, ეს დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებაში ერთ-ერთ მნიშნელოვან მიმართულებად მოიაზრება. გარდა ამისა, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებსაც. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, განათლების უწყვეტობაზე საუბრისას გულისხმობდა თუ არა მომავალში მოკლე ციკლის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, რომელიც ასოცირებული ხარისხის პროგრამების შემუშავებასმინიჭებას გულისხმობს, რაც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების შესახებ კანონში, თუმცა ჯერჯერობით დანერგილი არ არის. აღნიშნულ საკითხე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ამ მიმართულებითაც, რა თქმა უნდა, იქნება აქტიური, რადგან დაწესებულებას ამის შესაძლებლობა აქვს, თუმცა ზემოთაღნიშნულში იგულისხმებოდა პროფესიული განათლების ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებს აკადემიურ განათლებაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად დამატებულია 2020 წლის აგვისტოში და რამდენიმე პროგრამასთან მიმართებაში დაფიქსირებული იყო მეტწილი შესაბამისობა და ჩანიშნული ჰქონდათ მონიტორინგის ვიზიტები, რამაც გავლენა იქონია იმაზე, რომ რვა პროგრამა, სრული შესაბამისობით და რეკომენდაციების გარეშე იყო წარმოდგენილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ყველა პროგრამასთან მიმართებაში გადაამოწმა ვერიფიკაციის მექანიზმი და სტუდენტთა შეფასების სისტემა, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმებთან მიმართებაში, შესაბამისი ინფორმაცია კი ასახულია დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დარგის ექსპერტებს წარმოედგინათ შეფასებები პროგრამების მიხედვით.

ქალბატონმა მანანა მოისწრაფიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა საკითხი აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მან განმარტა, რომ დაწესებულებას დასაბუთების განსაკუთრებული დოკუმენტი (შრომის ბაზრის კვლევა) არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა ეჭვქვეშ ვერ დადგება რეგიონში აღნიშნული პროგრამის საჭიროება, რადგან დაწესებულებას მიზანშეწონილობის დასკვნა წარმოდგენილი აქვს არგუმენტირებულად და კარგად. მან აღნიშნა, რომ ყველაზე მთავარი, რასაც აღნიშნული პროგრამის რეგიონში ამოქმედება ეფუძნება, არის გარემოება, რომ 2016 წლიდან სახელმწიფოს მიერ ამუშავდა მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტი და გამარტივებული პროცედურები, რათა მოსახელობამ შეძლოს საკუთარი მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ხოლო ამ პროცესისთვის შემუშავდა სახელმწიფო სტანდარტი, რომელიც ითხოვს კვალიფიციური ან სერტიფიცირებული პირების ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. მან განმარტა, რომ ასეთი ტიპის სპეციალისტებზე მოთხოვნას დაწესებულება სხვადასხვა დასაქმების საიტიდან ინფორმაციის შეკრებით განსაზღვრავს და სწორედ ამ მეთოდით განისაზღვრა სტუდენტთა კვოტა, რომელიც წელიწადში 10 პროფესიულ სტუდენტს შეადგენს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა გორის

მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს, შპს „გეოს“ და შპს „მალხაზ პაიჭაძის“ წარმომადგენლებს და პარტნიორმა ორგანიზაციებმა და დამსაქმებლებმა დაადასტურეს პროგრამის საჭიროება და მოთხოვნა შიდა ქართლში. მან ასევე აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია დაწესებულებამ პროგრამა დაიმატა შარშან საბჭოს მიერ განსაზღვრული 10-10 პროფესიული სტუდენტით და მიმდინარე წელს სრულად აქვთ ათვისებული კვოტა ანუ პროგრამაზე სწავლობს 10 პროფესიული სტუდენტი. მან განმარტა, რომ პროგრამა სხვა პარამეტრებით და ინდიკატორებით შეფასდა სრულ შესაბამისობაში, დაწესებულებას აქვს კარგი ტექნიკურ-მატერიალური ბაზა და ყველა სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკის უზრუნველყოფის ობიექტები, ხოლო ამ პროგრამაში საწარმოო პრაქტიკა მოიაზრება საველე პრაქტიკის სახით, შესაბამისად გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა სრულდ აკმაყოფილებს საველე პრაქტიკის წარმატებულად ჩატარებას. მან განმარტა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროგრამის დამატებას.
საბჭოს წევრებმა სთხოვეს ქალბატონ მანანას განემარტა, შეისწავლეს თუ არა პროგრამის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებული კომპონენტი, ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნულ საკითხზე დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნია ვერიფიკაციის მექანიზმი, მაგრამ რადგან პროგრამა ჯერ დასრულებული არ არის და ვიზიტის დროს პროფესიული მოდულები დაწყებული არ იყო, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელმა განსაზღვრა, რომ ვერიფიკაცია ჯერ არ იყო განხორციელებული, ხოლო განხორციელდა ზოგადი მოდულების შეფასებები.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა. სხდომა გაგრძელდა აღმზრდელის პროფესიული პროგრამის განხილვით.

საბჭოს წინაშე აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა წარადგინა ქალბატონმა ქეთევან ღვანიძემ. მან განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზები არ დაფიქსირებულა. მან აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას სურს 50 პროფესიული სტუდენტის მიღება 2 ცვლის გათვალისწინებით. მან განმარტა, რომ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან, რომელიც ითვალისწინებს 25 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტით მომსახურებას, გამოყოფილია მატერიალური ბაზა, გარემო, რომელიც აღჭურვილია 25 პროფესიულ სტუდენტზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ჰყავს 15 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი, რომელთაც აქვთ სწავლების გამოცდილება მოდულური სწავლების მიმართულებითაც. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამას 2016 წლიდან ახორციელებს და პროგრამა მილევად რეჟიმშია. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე დიდი მოთხოვნაა, გორის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოსაზრებით, ასევე გორში 2021 წლიდან საჭირო გახდა კვალიფიციური კადრების დამატება, მომართვიანობიდან გამომდინარე საჭირო იქნება ბაგა-ბაღში ახალი ჯგუფების შემქნა, ეს ყოველივე კი გამოიწვევს ახალი კადრების საჭიროებას. მან განმარტა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილობის დოკუმენტი საკმარისია და პროგრამა სრულ შესაბამისობაში სტანდარტთან. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეგიონში შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა და შენდება ახალი საბავშვო ბაღები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამის მიზანშეწონილობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა. სხდომა გაგრძელდა კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხილვით.

საბჭოს წინაშე კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დასკვნა წარადგინა ბატონმა იაზონ დანელიამ. მან განმარტა, რომ პროგრამა შეფასებულია სრული შესაბამისობით. პროგრამა ხორციელდება უკვე 3 წელიწადია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აღნიშნული პროგრამის დამატების დროს თავად იყო ექსპერტი - გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება პროგრამის დამატებამდეც ახორციელებდა მსგავს საგნობრივ პროგრამას „ქსელის ადმინისტრატორი“. მან განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლები, რომელთაც აქვთ კომპეტენცია რომ სტუდენტებს მისცენ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები პროგრამის ფარგლებში. აღნიშულ პროგრამაზე ამ დროისათვის ირიცხება 15 აქტიური სტუდენტი. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკული პროექტისა და გაცნობითი პრაქტიკის მოდულებს. მან ასევე განმარტა, რომ პროგრამის დასაბუთება რაიმე განსაკუთრებული ფორმით არ ყოფილა წარმოდგენილი და პროგრამის განხორციელების დასაბუთება ძირითადად გამომდინარეობს დასაქმების საიტებიდან მიღებული ინფორმაციით. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა ყოველწლიურად ორმაგდება, რაც თავისთავად იწვევს სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდას, რაც ერთგვარად ასაბუთებს პროგრამის მიზანშეწონილობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა. სხდომა გაგრძელდა რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვით.

საბჭოს წინაშე რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დასკვნა წარადგინა ქალბატონმა ირმა ანთიამ. მან განმარტა, რომ დაწესებულებას არაჩვეულებრივი გარემო აქვს პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად, ჰყავს კვალიფიციური პერსონალი, კარგად არის გაწერილი პრაქტიკული სამუშაოები და ლაბორატორიული კვლევები, რაც უმნიშვნელოვანესია რძის პროდუქტების წარმოებაში. მან აღნიშნა, რომ პირადად ფლობს ინფორმაციას თუ როგორ მუშაობენ დაწესებულების კურსდამთავრებულები, მან აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად მომზადებულები არიან ნებისმიერ საწარმოში სამუშაოდ. საბჭოს წევრმა სთხოვა დაეზუსტებინა დარგის ექსპერტს საწარმო უნივერსიტეტის მფლობელობაშია არის თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საწარმო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გადაეცა დაწესებულებას იჯარით, იმ პირობით, რომ დაწესებულების სტუდენტებმა გაიარონ გადამზადება და მიიღონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები საწარმოს ბაზაზე. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ საწარმოს იჯარით გადაცემა, რაც უზრუნველყოფს საწარმოს მუდმივ მუშაობას, კიდევ უფრო უწყობს ხელს, სტუდენტების განვითარებას და სწავლის ხარისხს. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება „სანტე ჯგუფთან“, რომელიც ამ მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოში. აღნიშნულ საწარმოში სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკისა და გამოცდილების მიღება. მან ასევე აღნიშნა, რომ ნაყინის საწარმო „ფიფქია“ დაწესებულების განკარგულებაშია და შეუძლიათ პროგრამის საჭიროებების მიხედვით გამოყენება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

სხდომა გაგრძელდა საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არ გაცემულა რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა და მეოთხე და მეხუთე კორპუსის არსებული საბიბლიოთეკო ფართები დაათვალიერა ექსპერტთა ჯგუფმა და შეფასდა სრული შესაბამისობით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით ჰყავს პროფესიონალი და კარგად მომზადებული კადრები, რომლებიც ასევე ჩართულები არიან აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი. საბჭოს წინაშე წარადგინა ბატონმა ტიტე ბოლქვაძემ. მან განმარტა, რომ დაწესებულებას მიზანშეწონილობის დასაბუთებასთან დაკავშირებით კვლევები წარმოდგენილი არ ჰქონდა და დასაბუთება ძირითადად ეყრდნობოდა საჯაროდ გამოქვეყნებულ კვლევებს ლოგისტიკასთან მიმართებაში. ექსპერტი დაეთანხმა პროგრამის მიზანშეწონილობას და განმარტა, რომ მთელი ლოგისტიკის განვითარება წარმოადგენს ქვეყნის ერთერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას, ამიტომ ყველა რეგიონში ამ დარგის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მან აღნიშნა, რომ ზუსტად ამაზე აპელირებს დაწესებულება და აქცენტს აკეთებს სასაწყობო მეურნეობის განვითარებაზე რეგიონში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი აგრარული რეგიონია საქართველოში, ამასთან ტრანსგადაზიდვები და ტრანსპორტირება ერთი ჯაჭვის რგოლს წარმოადგენს საწყობე მეურნეობასთან. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს მოდულებში მითითებული მოძველებულ სასწავლო რესურსის - საკანონმდებლო აქტების ამოღებას პროგრამიდან. ცნობილია, რომ საკანონმდებლო აქტები მუდმივად იცვლება, უქმდება და ახლით იცლება, მოდულში კი მითითებული იყო ძველი და ახალი აქტები, ძველი აღარ არის მოქმედი და სასურველია მოდული არ გადაიტვირთოს ამგვარად, პერიოდულად გადაიხედოს სასწავლო რესურსი და გადამოწმდეს, რათა გაუქმებული და ძველი საკანონმდებლო აქტები აღარ დარჩეს მოდულში. მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას მოთხოვნა აქვს პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო მის მიერ გამოთხოვილ იქნა შეფასების ინსტრუმენტები და ვერიფიკაციის დოკუმენტი. მან განმარტა, რომ შეფასების მიმართულება, შინაარსი, ფორმა შესაბამისობაშია სტანდარტთან და ექსპერტთა ჯგუფმა ვერიფიკაციის დოკუმენტიც სრულყოფილად მიიჩნია. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს დოკუმენტების განახლებას ხშირად ფიქსირდება ლოგისტიკის მიმართულებაზე, ამიტომ საბჭოს რეკომენდაცია იქნება დაწესებულებამ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივად ინფორმაციის ქონას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ქალბატონმა ინგა ბაქრაძემ. მან განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელშიც ეყრდნობა 2016 წელს შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც ეხება ფარმაცევტულ ბიზნესს. კვლევაში მოცემულია ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების

პერსპექტივები, რაც საქართველოსთვისაც აქტუალურია. გარდა ამისა, მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მიმართულების პროგრამების აუცილებლობამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ შრომის ბაზარი და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა ჩანს პროგრამასთან მიმართებაში. პროგრამა ხორციელდება უკვე ორი წელია და დამსაქმებლების მხრიდან პროგრამით დაინტერესება ნამდვილად არსებობს, რისი მანიშნებელი არის ისიც, რომ რეგიონში მსხვილი სააფთიაქო ქსელები ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. მან განმარტა, რომ როგორც დარგის ექსპერტი ეთანხმება პროგრამის მიზანშეწონილობას. მან განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელიც ეხება მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას - კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ერთი კომბინირებული A/C გარემო, რომელსაც სასურველია დაემატოს კიდევ ერთი A გარემო, რომელშიც თეორიული ნაწილი განხორციელდება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მოთხოვნა 50 პროფესიულ სტუდენტზე, ამასთან მას უკვე ჰყავს 25 პროფესიული სტუდენტი. მან განმარტა, რომ ახალი მიღების შემთხვევაში სასწავლო გეგმაში იკვეთება რამდენიმე კვირა, რომლის განმავლობაში სტუდენტების ორი ნაკადი ისწავლის A/C გარემო და ეს გარემო მაქსიმალურად იქნება დატვირთული. საბჭოს წევრმა სთხოვა დარგის ექსპერტს განემარტა, შეძლებს თუ არა მოცემული დატვირთვით დაწესებულება უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშული სავსებით შესაძლებელია. პროგრამაზე პირველი და მეორე სასწავლო წელი ორ ნაკადად არის გადანაწილებული და მხოლოდ 2 კვირაზე არის 37 საათიანი დატვირთვა, რაც გულისხმობს დღეში 12-13 საათიან დატვირთვას აუდიტორიისთვის, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ დაწესებულებას აქვს დამატებით თავისუფალი აუდიტორიები, რაც გახდა რეკომენდაციის საფუძველი. მან ასევე განმარტა, პროგრამასთან მიმართებაში გაიცა მეორე რეკომენდაცია, რომლის მიხედვით ერთ შემთხვევაში, მოდული ,,სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება,“ სასწავლო გეგმის შესაბამისი ველში მითითებული არ არის მოდულთა ჩამონათვალი, რომელიც აღნიშნული მოდულის წინაპირობას წარმოადგენენ. რაც შეეხება აღნიშნული მოდულის დაწყებას, გეგმით გათვალისწინებულია ყველა წინმსწრები მოდული. სასურველია ეს ტექნიკური შეცდომა გასწორდეს.. პროგრამის ფარგლებში გაცემული მესამე რეკომენდაცია შეეხება სასწავლო რესურსს. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ მოდულებში არ მიუთითონ ზუსტი კანონები, რადგან მუდმივად იცვლება, არამედ ზოგადი სახით, თუ დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამისად განმახორციელებელს წვდომა ჰქონდეს საკანონმდებლო მაცნესთან, სადაც ეს ცვლილებები იდება, ძალიან კარგი იქნება. გარდა ამისა, მან აღნიშნა რომ ფარმაციის მიმართულება განებივრებული არ იყო ელექტრონული რესურსებით, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ლიტერატურა საკმარისია სწავლის შედეგებზე გასასვლელად თითოეული მოდულისთვის, თუმცა დისტანციური სწავლების პერიოდში ფარმაცევტულ სივრცეში გაჩნდა ელექტრონული ვერსიები, რომელიც სასურველია გამოიყენონ პროგრამის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და პროგრამაში სხვა სახის ცვლილებებთან ერთად შეიტანს ლიტერატურასთან დაკავშირებულ ცვლილებებსაც, რაც ცენტრის წარომადგენელმაც დაადასტურა. მან ასევე აღნიშნა, რომ ფარმაციის პროგრამაში კვლავ შევიდა ცვლილება, რის გამოც დაწესებულებას ურჩია დაელოდონ საბოლოო სახეს და შემდეგ კვლავ შეიტანონ პროგრამაში ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ბატონმა გიორგი ბერიამ. მან განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც ეყრდნობა ამ

მიმართულების ჯანდაცვის სამინისტროს და რამდენიმე ავტორიტეტული ორგანიზაციის უნივერსალურ კვლევებს. მან აღნიშნა, რომ სხვა მიმართულებებითაც, როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსი და საგანმანათლებლო ლიტერატურა, ბოლო პერიოდში დიდი გარღვევა მოხდა ევროკავშირის დახმარებით და ითარგმნა საექთნო მიმართულების ლიტერატურა ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომი გახდა, დაწესებულებას ელექტრონული სახით და ბეჭდური სახით ეს ლიტერატურა აქვს ადგილზე. მან აღნიშნა, რომ A გარემოსთან მიმართებით დაწესებულებას ყველაფერი წესრიგში აქვს. მან განმარტა, რომ მას შემდეგ რაც დეტალურად გადამოწმდა მასწავლებლების კომპეტენცია, სპეციალიზაცია, კვალიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა. აღნიშნა, რომ საქართველოში არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც საექიმო სპეციალობა არის ძალიან განვითარებული საექთნო მიმართულება ანუ მიიჩნევა, რომ ექიმი არის ასი ექთნის ტოლფასი, სინამდვილეში ექიმისა და ექთნის საქმიანობები აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან და თუ უნივერსიტეტი ისწრაფვის მოიზიდოს და კონკრეტულ სპეციალიზაციაში, კლინიკურ მიმართულებაში შესთავაზოს გამოცდილების ექთნებს სწავლების შესაძლებლობა იქნება უნივერსიტეტისთვის უკეთესი, ვიდრე პროფესორი ქირურგი, რომელსაც შეუძლია საექთნო სპეციფიკა ნაკლები ასწავლოს ქირურგიული მიმართულების საექთნო მართვაში ვიდრე ძალიან გამოცდილ საოპერაციო მედდას. მან ასევე აღნიშნა, რომ არ არსებობს უნივერსალური სპეციალიზაციის ადამიანი და შესაძლებელია შედეგზე გასვლაც, თუმცა სასურველია დაწესებულებამ სწორება გააკეთოს კონკრეტული სპეციალიზაციის და გამოცდილების კადრებზე. მან განმარტა, რომ დაწესებულებაში ორი ტიტულოვანი ექიმი ასწავლის რვა სხვადასხვა კლინიკურ საგანს, რაც არ არის ძალიან ეფექტური. მან ასევე ურჩია დაწესებულებას, შეამციროს პროგრამის ხელმძღვანელის დატვირთვა, რადგან ასწავლის 4 კლინიკურ საგანს, არის დაწესებულების ხელმძღვანელი და არის მოქმედი ქირურგი. მან ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ პიროვნებას ვერ გაესაუბრა გადაუდებელი ოპერაციიდან გამომდინარე. საბჭოს წევრმა სთხოვა დაეზუსტებინა დარგის ექსპერტს, აღნიშნულ პირობებში საფრთხე ხომ არ ექმნება პროგრამის განხორციელებას, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექნიკურად ეს შესაძლებელია, სწორედ ამიტომ გაიცა განმავითარებელი და არა შესაბამისობის რეკომენდაცია. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ქალბატონმა მაკო ჯაოშვილმა. მან განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ამ მიმართულებით ჩართულები იყვნენ 2015 წლიდან, როდესაც ჯერ კიდევ DACUM-ის მეთოდოლოგიით დაიწყო პროფესიული სტანდარტის, შემდეგ კი მოდულური პროგრამის შემუშავება, რაც ადასტურებს მათ კვალიფიკაციას და კომპეტენციას განხორციელების თვალსაზრისით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება 2015 წლიდან ახორციელებს ღონისძიების მენეჯერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო შემდეგ მოხდა პროგრამის ოპტიმიზაცია და დაწესებულებამ დაიწყო მეოთხე საკვალიფიკაციო დონეზე ღონისძიების ორგანიზატორის მოდულური პროგრამის განხორციელება. მან განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა მოთხოვნადია, მიუხედავად იმისა, რომ არ მიმართულებისთვის ცალკე ჩატარებული კვლევა არ არსებობს, შრომის ბაზარი ამ მიმართულებით საკმაოდ მოთხოვნადია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დამსაქმებლებსა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ადასტურებენ პროგრამაზე მოთხოვნას. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა არის 10 პროფესიული სტუდენტი, ხოლო

პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის პრაქტიკული ნაწილის გავლას. მან განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

საფინანსო სერვისების, ბუღალტრული აღრიცხვის და საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ქალბატონმა გიული გურგენიძემ. მან განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავს ძლიერი განმახორციელებლები, როგორც პრაქტიკის, ისე თეორიის კუთხით. მან აღნიშნა, რომ სამივე პროგრამის ფარგლებში განმახორციელებლები არიან იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი (მერიის, საკრებულოს, საჯარო სკოლების წარმომადგენლები). მან ასევე აღნიშნა, რომ იმ ორგანიზაციებს, რომელთანაც საფინანსო სერვისების მიმართულებით არის მემორანდუმი გაფორმებული, სურვილი აქვთ თანამშრომლობა საოფისე საქმის მიმართულებითაც განახორციელონ. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამა რეგიონში მოთხოვნადია, რადგან იხსნება ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სალომბარდე ჯიხურები, სადაც ამ მიმართულებით სჭირდებათ კადრები. მან აღნიშნა, რომ ინტერვიუს ფარგლებში ერთ-ერთმა განმახორციელებელმა, რომელიც ასევე ბანკის თანამშრომელიცაა, აღნიშნა, რომ საუკეთესო მსმენელებს ექნებათ ბანკში დასაქმების შესაძლებლობა. დაწესებულებას საფინანსო სერვისების პროგრამაზე ჰყავს აქტიური სტუდენტები. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსი სამივე პროგრამის მიმართულებით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკის ობიექტის ფარგლებში, რომელიც სამ სწავლის შედეგს ითვალისწინებს, ერთი შედეგი მიიღწევა სავაჭრო ობიექტზე, მეორე საბანკო სფეროში, ხოლო მესამე შედეგის დადასტურება ხდება აუდიტორიაში/დაწესებულებაში. ასევე, მოდული „საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისების“ პირველი სწავლის შედეგი ითვალისწინებს პრაქტიკის გავლას სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც მითითებული არ არის სავაჭრო ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებაში წერია აღნიშნული მოდული, ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩენილია პრაქტიკის მოდული, თუმცა თვითონ ტექსტში მითითებულია, რომ სტუდენტები პრაქტიკის მოდულს გაივლიან და წარდგენილი იქნება პრაქტიკის მონაწილე სტუდენტების სია. მან ასევე განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების შესახებ ჩანაწერი წარმოდგენილია დაწესებულების შესაბამისობის გეგმაში და დაწესებულებამ უკვე განახორციელა შესაბამისი ცვლილება. საბჭოს წევრებმა სთხოვეს დარგის ექსპერტს დაეზუსტებინა, თუ რა ტიპის ჩანაწერი იყო ხელშეკრულებაში, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ საფინანსო სერვისების საწარმოო პრაქტიკას აქვს სამი სწავლის შედეგი, პირველი შედეგი მიიღწევა სავაჭრო ობიექტზე, რომელზეც არ იყო ხელშეკრულება (ხელშეკრულებაში ეწერა „სავაჭრო ობიექტზე მომხმარებლის მომსახურება“, რომელიც სხვა მოდულია). მან განმარტა, რომ ხელშეკრულებაში იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რადგან ხელშეკრულებაში იყო ტერმინი „პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება“, თუმცა არ იყო მოდული დასახელებული. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ ეთანხმებიან თუ არა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან სახეზეა ტექნიკური შეცდომა, იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ხარვეზი არ არის სწორი არ იქნება, თუმცა შინაარსში იგულისხმება, რომ სტუდენტები პრაქტიკასაც გადიან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 30 ივნისი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრისშედეგები:**
**მომხრე: 7**
**მოწინააღმდეგე: 0**
გადაწყვეტილება: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება. ამავე დროს, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა ჩაინიშნოს მონიტორინგი „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მონიტორინგი განხორციელდეს 2021 წლის 30 ივლისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. მონიტორინგის ფარგლები - 2.2. კომპონენტი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7

**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0

**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 7
**მოწინააღმდეგე:** 0
**გადაწყვეტილება:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამები და შესაბამისი პარამეტრები, რომელთაც დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს. „პრაქტიკოსი ექთანი“, „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, „ბიბლიოთეკარი“, „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, 18:53 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კაკულია ნინო

**დანართი**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0731 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 50 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საოფისე საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0415 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 89 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის  ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | რძის პროდუქტების წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საბიბლიოთეკო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0322 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 94 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 124 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 75 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 69 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (სააფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 50 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ღონისძიების ორგანიზება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 61 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 91 |

ინფორმაცია იმ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომელსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის მილევად რეჟიმში „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | პრაქტიკოსი ექთანი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 090552 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 19 (სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 134 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 164 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 030254 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 26 (სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 111 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 141 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბიბლიოთეკარი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 070852 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ზესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 13 (სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 94 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 124 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 040161 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 13 (სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 121 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 151 |